

sCool Card-ის მფლობელი კლიენტების დაჯილდოების პირობები

1. ზოგადი პირობები

- 1.1. წინამდებარე პირობები განსაზღვრავს სს საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) და MasterCard-ის (შემდგომში - ორგანიზატორი) ერთობლივი წამახალისებელი დაჯილდოების პირობებს (შემდგომში - დაჯილდოება).
- 1.2. საქართველოს ბანკი 2018 წლის 1 მაისს გამოავლენს sCool Card-ის მფლობელ კლიენტებს რომლებსაც 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული აქვთ ბანკის მიერ ემიტირებული sCool Card-ის ბარათების (შემდგომში - ბარათი) გამოყენებით, მინიმუმ 0,10 ლარიანი ყველაზე მეტი უნაღდო ანგარიშსწორება საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებითა და ონლაინ შესყიდვებით.
- 1.3. წამახალისებელი დაჯილდოების მთავარ გამარჯვებულად ჩაითვლება მონაწილე, რომელსაც 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში შესრულებული აქვს ყველაზე მეტი ტრანზაქცია, ხოლო გამარჯვებულად მიიჩნევა შემდეგი 243 sCool Card-ის მფლობელი, რომელსაც ასევე სხვა sCool Card-ის მფლობელებზე მეტი ტრანზაქცია აქვთ განხორციელებული 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში.

2. საჩუქარი

- 2.1. სასაჩუქრე კომპლექტი - სპორტული ჩანთა და მაისური გადაეცემა ყველაზე მეტი ტრანზაქციის მქონე 244 sCool Card-ის მფლობელს;
- 2.2. მთავარი საჩუქარი - გამგზავრება UEFA Champions League Final Kyiv 2018- ზე (3 ადამიანზე), და sCool Card-ის მფლობელის გაყვანა მოედანზე ფეხბურთელების ესკორტზე, თუ იგი აკმაყოფილებს მე-3 პუნქტით დადგენილ მთავარი საჩუქრის მიღების პირობებს.
- 2.2.1. მთავარი საჩუქარი მოიცავს 3 ადამიანზე (1 ბავშვი და 2 ზრდასრული):
 - ავიაბილეთები (თბილისი-კიევი-თბილისი);
 - სასტუმროში განთავსება;
 - კვების ხარჯი (ჯამურად 70 ევროს ოდენობით)
 - ტრანსფერს აეროპორტიდან სასტუმრომდე და სასტუმროდან აეროპორტში (კიევიში);
 - UEFA Champions League Final Kyiv 2018-ზე დასასწრებ ბილეთებს

3. მთავარი საჩუქრის მიღების პირობები

- 3.1. მთავარი საჩუქრის მისაღებად sCool Card-ის მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს UEFA-ს მიერ დაწესებულ შემდეგ პირობებს:
 - 3.1.1. ასაკი - 7-9 წელი (მთავარი პროზიორი არ უნდა ხდებოდეს 10 წლის 2018 წლის 26 მაისამდე)
 - 3.1.2. სიმაღლე - 105-135 სმ
 - 3.1.3. მთავარი საჩუქრის მფლობელს უნდა შეემლოს დამოუკიდებლად გადაადგილება და მოედანზე გასვლა.
- 3.2. მთავარი გამარჯვებული ვალდებულია:
 - 3.2.1. დაიცვას ადგილზე UEFA-ს წარმომადგენლის მიერ მიცემული ინსტრუქცია;
 - 3.2.2. ჩაიცვას მოედანზე უნიფორმა, რომელიც ადგილზე გადაეცემა საჩუქრად (გარდა სპორტული ფეხსაცმლისა)
 - 3.2.3. მოედანზე ჩასაცმელი სპორტული ფეხსაცმელი უნდა იყოს შავი ფერის, Adidas-ის ბრენდის, ან არა ბრენდირებული.
- 3.3. ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ უფლებამოსილია განსაზღვროს მთავარი გამარჯვებული განმეორებით, თუ არსებობს ეჭვი ან/და იკვეთება მთავარი გამარჯვებულის მხრიდან ნებისმიერი სახის ფალსიფიკაციის ფაქტი.

4. საჩუქრის მიღების პირობები

- 4.1. გამარჯვებულისათვის საჩუქრის გადაცემა განხორციელდება, გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 4.2. გამარჯვებული 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში, ხოლო მთავარი გამარჯვებული 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ბანკისგან მიიღებს შეტყობინებას მოგების შესახებ, უნდა გამოცხადდეს ბანკის მიერ განსაზღვრულ მისამართზე.

- 4.3. მთავარმა გამარჯვებულმა 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ბანკი შეატყობინებს გამარჯვებულის თაობაზე, ბანკში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - 4.3.1. მისი და მისი თანმხლები პირების ბიომეტრიული პასპორტი (მოქმედების ვადით მინიმუმ 6 თვე მოგზაურობის თარიღიდან);
 - 4.3.2. არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ასლი, ინგლისურად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული;
 - 4.3.3. საქართველოს ფარგლებს გარეთ არასრულწლოვანის გაყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 4.4. მთავარმა გამარჯვებულმა ხელი უნდა მოაწეროს საჩუქრის მიღების შესახებ განცხადებას/თანხმობას, ხოლო თუ მთავარი გამარჯვებული არასრულწლოვანია განცხადებას/თანხმობას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი.
- 4.5. იმ შემთხვევაში თუ მთავარ გამარჯვებული ან თანმხლები პირი 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანია დამატებით უნდა წარადგინოს:
 - 4.5.1. არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ასლი;
 - 4.5.2. საქართველოს ფარგლებს გარეთ არასრულწლოვანის გაყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - 4.5.3. ყველა ზემოთ მოცემული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი ინგლისურ ენაზე და დამოწმებული ნოტარიულად.
- 4.6. მიწოდებული დოკუმენტების ვალიდურობასა და სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ გამარჯვებულს. დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო.
- 4.7. ბანკი უფლებამოსილია მთავარ გამარჯვებულს მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა მთავარი საჩუქრის მიღების მიზნებისათვის.
- 4.8. დოკუმენტების შესაბამის ვადაში წარუდგენლობის, არასრული ან/და არასათანადო დოკუმენტების წარდგენის ან იმ შემთხვევაში თუ არსებობს ეჭვი, რომ დოკუმენტები ყალბია მთავარ გამარჯვებულს ავტომატურად ართმევს მთავარი გამარჯვებულის სტატუსს.
- 4.9. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს არ გააჩნია შესაძლებლობა/გამოყენების სურვილი მიიღოს საჩუქარი იმ მიზეზით, რომელიც არ არის დამოკიდებული ბანკზე, ბანკი არ გადაუხდის გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს რაიმე სახის კომპენსაციას.

5. სხვა პირობები

- 5.1. ბანკი არ აგებს პასუხს გამარჯვებულის მიერ საჩუქრის/მთავარი საჩუქრის შემდგომი გამოყენების მიმართ, მათი მიღების შემდეგ, გამარჯვებულის მიერ საჩუქრის/მთავარი საჩუქრის გამოყენების შეუძლებლობაზე ნებისმიერი მიზეზით, ასევე მათი გამოყენების შესაძლო შედეგებზე.
- 5.2. ბანკი არ აგებს პასუხს მთავარი გამარჯვებულის ან/და მისი თანმხლები პირების საზღვარგარეთ გასვლის შეუძლებლობაზე, რეისების გაუქმებაზე ან გადადებაზე. მოგზაურობის დაწვრილებით პირობებს ორგანიზატორი ადგენს საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 5.3. მოგზაურობის განხორციელებისას ყველა დამატებით ხარჯს საკუთარი ხარჯით ფარავს მთავარი გამარჯვებული.
- 5.4. გათამაშებაში მონაწილეობა ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მონაწილე გაეცნო და ეთანხმება დაჯილდოვების პირობებს.
- 5.5. მონაწილის მხრიდან საჩუქრის მიღების პირობების დარღვევის შემთხვევაში მონაწილე ბანკის შეხედულებისამებრ ეთიშება გათამაშებას, ამასთან მონაწილეს არ აქვს უფლება ბანკისაგან მოითხოვოს რაიმე სახის კომპენსაცია.
- 5.6. გამარჯვებულები პრიზის მიღებით თანხმობას აცხადებენ მათი ფოტო/ვიდეოს გამოყენებაზე
- 5.7. ბანკი/ორგანიზატორი ან/და მათ მიერ განსაზღვრული მესამე პირები არ აგებენ პასუხს საჩუქრებზე, მათ ხარისხზე და მთლიანობაზე საჩუქრის გამარჯვებულისათვის/მთავარი გამარჯვებულისათვის გადაცემის შემდეგ.

6. ინფორმირების წესი

- 6.1. დაჯილდოების პირობები და სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge.
- 6.2. ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ ან/და ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განსაზღვროს დაჯილდოების დამატებითი პირობები/წესები.